პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 75 (9543) | კვირა, 29 მარტი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

საბჭოთა წყობილების ძალა — «პრავდის» 28/III მოწინაგე. (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

სადღეისო თემაზე. — კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადა (1-ლი გვერდი).

პ. ცაგარეიშვილი. — გავაძლიეროთ კომუნისტთა თეორიული სწავლება (მე-2 გვერდი).

სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები. — გურჯაანელ მევენახეთა სიტყვა და საქმე (მე-2 გვერდი).

თეატრი. — ორი სპექტაკლი (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას. — კორესპონდენტის მოვალეობა უნდა დაისაჯოს. გავაუმჯობესოთ საპროექტო სამუშაოთა ხარისხი. მტკიცედ დავიცვათ ქუჩაში მოძრაობის წესები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდები).

საბჭოთა წყობილების ძალა

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამნისტიის შესახებ. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი მოწმობს საბჭოთა წყობილების დიდ სასიცოცხლო ძალას, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

„საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცების, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების, მოქალაქეთა შეგნებულობის ზრდის, თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისადმი მათი პატიოსნური დამოკიდებულების შედეგად, — ნათქვამია ბრძანებულებაში, — ჩვენს ქვეყანაში განმტკიცდა კანონიერება და სოციალისტური უფლებრივი წყობილება, აგრეთვე მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულებრივობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ ამ პირობებში საჭირო აღარ არის კვლავ პატიმრობაში იყვნენ ის პირნი, რომელთაც ჩაიდინეს ისეთი დანაშაული, რაც დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს სახელმწიფოსათვის, და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ დაუბრუნდნენ პატიოსან შრომით ცხოვრებას და საზოგადოების სასარგებლო წევრები გახდნენ“.

მოქალაქეთა შეგნებულობის ზრდა, თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისადმი მათი პატიოსნური დამოკიდებულება ყველაზე მკაფიოდ გამოხატულია იმით, რომ მილიონობით საბჭოთა ადამიანი, საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა წმიდად იცავს სოციალისტური სახელმწიფოს კანონებს, მთელ ძალღონეს ახმარს ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. საბჭოთა ადამიანები არ იშურებენ ძალასა და შრომას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. მათ შრომა მიაჩნიათ ღირსებისა და დიდების საქმედ, მამაცობისა და გმირობის საქმედ. ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გახდა სოციალისტური შეჯიბრება — მშენებლობის ეს ნაცადი კომუნისტური მეთოდი. ცხოვრებისა და შრომის ყველა უბანზე მრავლდება მაგალითები მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე. პარტია და მთავრობა დიდად აფასებენ და ყოველნაირად ახალისებენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ საგმირო საქმეებს. მარტო ომისშემდგომ წლებში სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 1 მილიონ 346 ათასი მუშა, კოლმეურნე, მეცნიერი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, მოსამსახურე, ექიმი, მასწავლებელი და სხვა მუშაკი.

განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა, მათი ყოფაცხოვრების პირობები, მაღლდება მათი კულტურული დონე. ზრუნვა მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი საქმიანობის მთავარი საზრუნავი და უმაღლესი კანონია. ჩვენს ქვეყანაში არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, არ არის უმუშევრობა — ეს საშინელი უბედურება შრომის ადამიანებისათვის. სოციალისტური სისტემა უზრუნველყოფს მილიონიანი მასების შემოქმედების აყვავებას.

ყოველივე ამან განაპირობა დანაშაულებრივობის მნიშვნელოვანი შემცირება ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე იმის შესაძლებლობა, რომ პატიოსან შრომით ცხოვრებას და საზოგადოების სასარგებლო საქმიანობას დაუბრუნდნენ ის მოქალაქენი, რომელთაც წარსულში ჩადენილი აქვთ დანაშაული სახელმწიფოს წინაშე, საზოგადოების წინაშე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამნისტიის შესახებ ითვალისწინებს პატიმრობისაგან და სასჯელის სხვა ზომისაგან, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, იმ პირთა განთავისუფლებას, რომელნიც მსჯავრდადებულნი არიან ხუთ წლამდე ვადის ჩათვლით. განთავისუფლებული იქნებიან პატიმრობისაგან, მიუხედავად სასჯელის ვადისა, მსჯავრდადებულნი თანამდებობრივი, სამეურნეო, აგრეთვე სამხედრო დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 193 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით. განთავისუფლებული იქნებიან პატიმრობისაგან, მიუხედავად სასჯელის ვადისა, ქალები, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, ორსული ქალები, არასრულწლოვანნი 18 წლის ასაკამდე, 55 წლისაზე მეტი ხნის მამაკაცები და 50 წლისაზე მეტი ხნის ქალები, აგრეთვე ის პირნი, რომელნიც შეპყრობილი არიან მძიმე უკურნებელი სენით. სანახევროდ შეუმცირდებათ სასჯელის ვადა იმათ, ვისაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით. მოეხსნებათ ნასამართლობა და საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევა იმ მოქალაქეებს, რომლებიც გასამართლებული იყვნენ წინათ და მოიხადეს სასჯელი ან ვადამდე იქნენ განთავისუფლებულნი სასჯელისაგან ამ ბრძანებულების საფუძველზე.

ამნისტია გამოყენებული არ იქნება იმ პირთა მიმართ, რომელნიც მსჯავრდადებული არიან ხუთ წელიწადზე მეტი ვადით კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის, სოციალისტური საკუთრების დიდი ოდენობით დატაცებისათვის, ბანდიტიზმისა და განზრახ მკვლელობისათვის.

დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ბრძანებულების პუნქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ საჭიროდ უნდა იქნას მიჩნეული საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადასინჯვა, შეიცვალოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ზოგიერთი თანამდებობრივი, მეურნეობრივი, ყოფაცხოვრებითი და სხვა ნაკლეს საშიში დანაშაულობისათვის ადმინისტრაციული და დისციპლინარული სახის ზომებით, აგრეთვე შემსუბუქებულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ცალკეულ დანაშაულობათათვის.

ეს პუნქტი მოწმობს ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციის — სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ფუნქციის შემდგომ განვითარებას. ეს ავალებს ჩვენს პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ თავიანთი მუშაობა მასების აღსაზრდელად, დაუცხრომლად და ენერგიულად იმუშაონ იმისათვის, რომ ადამიანთა შეგნება გაწმინდონ კაპიტალიზმის ნაშთებისაგან, ძველი საზოგადოების ცრურწმენებისა და მავნე ტრადიციებისაგან. მთელი თავიანთი აღმზრდელობითი მუშაობით პარტიულმა ორგანიზაციებმა კვლავაც უნდა განავითარონ მასებში საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, აღზარდონ მშრომელები საბჭოთა პატრიოტიზმისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით, ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, დანერგონ პატივისცემა საბჭოთა კანონებისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას საბჭოთა ხალხი შეხვდება უდიდესი პატრიოტული სიამაყით ჩვენი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოსათვის, უძლეველი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის, იგი გამოიწვევს მასებში მისწრაფებას კიდევ უფრო თავდადებით იშრომონ ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

„პრავდის“ 28/III მოწინავე.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

დღეს ვოლგა-დონის არხებზე

ჩაპურნიკი. (სტალინგრადის ოლქი), 26 მარტი. (საკდესი). წყალგასაყარიდან ვოლგის მიმართულებით საფეხურებად ეშვება ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის რაბები. ეს არის ცნობილი ჩაპურნიკის კიბე.

წყალსატევებში ლურჯად მოჩანს ზამთრის სითბოთი შელხობილი ყინული. წყალი მოდის და მას დროგამოშვებით აგდებენ ვოლგისაკენ რაბების კამერების საშუალებით. ამრიგად, უკვე გადაგდებულია დაახლოებით ორი მილიონი კუბური მეტრი ზედმეტი წყალი.

არხის ექსპლოატაციის მუშაკები მოუთმენლად ელიან ნავიგაციის გახსნას, მათ უკვე დაამზადეს ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, მექანიზმები, ელექტრომოწყობილობა და ავტომატიკა გემების მისაღებად და გასაშვებად. ყოველი რაბი უზრუნველყოფილია შუქისა და რადიოსიგნალიზაციით. არხის ყველა სატუმბავი სადგური გადაყვანილია ერთი პულტით მართვაზე.

ჩაპურნიკის კიბის რაიონში ახლა არხის გამწვანების სამუშაოები მიმდინარეობს. მეხუთე და მეექვსე რაბების რაიონში იქმნება ტყეპარკის ზონა.

ორი-სამი კვირის შემდეგ ვოლგა-დონზე დაიწყება ნავიგაცია. ჩაებნენ რა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, არხის ექსპლოატაციის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს დიდ სანაოსნო მაგისტრალზე მეორე ნავიგაციის პირველივე დღეებიდან შეწყობილად და ზუსტად იმუშაონ.

მოსკოველ მექანიზატორთა დამატებითი პროფესიები

მოსკოვის ოლქის მტს-ებში ტრაქტორისტებსა და კომბაინერებს დამატებით პროფესიებს ასწავლიან. ყველა სადგურში მოეწყო კურსები, რომლებზეც ისინი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანით მუშაობას სწავლობენ. მეორე სპეციალობას იძენს ტრაქტორისტებისა და კომბაინერების უმრავლესობა. ბევრი მექანიზატორი სამ და ოთხ სპეციალობას ეუფლება. უახლოეს ხანში დაიწყება კარტოფილის სათესი მანქანების მემანქანეთა მომზადება.

მტბშჩის მტს-ში დასახულია, რომ ტრაქტორისტები ეკმოვი და ხარლამოვი აპრილში იმუშავებენ „სტტზ“ მარკის თვლიანი ტრაქტორით, მაისში კარტოფილის სათესი მანქანით, ივნისსა და ივლისში „უ-2“ მარკის სათოხნი ტრაქტორით, აგვისტოში — კვლავ „სტტზ“ ტრაქტორით, სექტემბერში კარტოფილის ასაღები კომბაინით, შემდეგ კი კვლავ „სტტზ“ ტრაქტორით. კომბაინერი კორაბლიოვი ეუფლება ტრაქტორისტისა და კარტოფილის სათესი მანქანის მემანქანის დამატებით სპეციალობებს. კომბაინერი სოროკინი საგაზაფხულო თესვის დროს იმუშავებს ხვნაზე, ხოლო ზაფხულში სათოხნი კულტურების მოვლაზე.

სპეციალობათა შეთავსება მნიშვნელოვნად შეამცირებს მოთხოვნილებას ახალ კადრებზე და ბევრად გაადიდებს მექანიზატორთა შემოსავალს. (საკდესი).

საპირველმაისო შეჯიბრება

ლენინგრადი. ქალაქის ფეიერები და მკერავები ერთმანეთს ეჯიბრებიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ პირველ მაისს. ფაბრიკებში — „რაბოჩი“, „ვოზროჟდენიე“, „ბოლშევიჩკა“ და სხვებში გაჩაღდა ბრძოლა საწარმოო პროგრამის გადაჭარბებით შესრულების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

გუშინ ფაბრიკა „ვერეტენოს“ კოლექტივმა დაამთავრა პირველი კვარტალის გეგმის შესრულება და დაიწყო მუშაობა აპრილის ანგარიშში. დიდ საწარმოო წარმატებას მიაღწიეს ვოროშილოვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშა ქალებმა. ეს საწარმო წელიწადზე მეტია ატარებს საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვები საწარმოს სახელწოდებას. გუშინ მკერავებმა გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 100-ზე მეტი ნაწარმი. წლის დასაწყისიდან ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა ხუთი ათასზე მეტი ნაწარმი.

დერბენტი. (დაღისტნის ასსრ). დერბენტის საორთქლმავლო დეპოში გაჩაღდა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. მომავალ დღესასწაულს დეპოს კოლექტივი აღნიშნავს ახალი შრომითი წარმატებებით. ყველა საორთქლმავლო ბრიგადას დაჰკავს მძიმე წონის შემადგენლობა, აღწევს სათბობის მნიშვნელოვან ეკონომიას. მემანქანეებს არტამონოვს, პოტანენკოს, ესიპოვს, ყურბანოვს და სხვებს ყოველ რეისზე ნორმის გადამეტებით გადაქვთ 300-400 ტონა ტვირთი.

მარტში მეორთქლმავლეებმა წაიყვანეს ასობით მძიმე წონის მატარებელი. ორ დეკადაში დაზოგილი სათბობით წაყვანილია 110 მატარებელი.

27 მარტი. (საკდესი).

ახალი ტექნიკა პოლიგრაფიულ წარმოებაში

პოლიგრაფიული წარმოებისა და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 26 მარტს დამთავრდა, განიხილა მოსკოვის პოლიგრაფიულ წარმოებაში ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საკითხი.

დედაქალაქის სტამბებში გასულ წელს დაიდგა 200-ზე მეტი სრულყოფილი საროტაციო, ბრტყელი საბეჭდი და სხვა მანქანები, ინერგებოდა წიგნებისა და ბროშურების დამზადების ნაკადურ-მექანიზებული მეთოდი. ახალი ნაკადური ხაზები მოეწყო ა. ა. ჟდანოვის სახელობის პირველ სანიმუშო სტამბაში, სტამბა „კრასნი პროლეტარში“ და მთელ რიგ სხვა სტამბებში. ამან შესაძლებლობა შექმნა იმავე საწარმოო მოედნებზე გადიდებულიყო წიგნებისა და ჟურნალების გამოშვება, გადიდებულიყო შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესებულიყო პროდუქციის ხარისხი. ერთ წელიწადში ნაკადური მეთოდით გამოშვებულ იქნა 79 მილიონზე მეტი ცალი წიგნი და ბროშურა. საკიძავ-საბრომურო საამქროები აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით — ბლოკდამუშავებელი აგრეგატებით, ავტომატური მოსავარაყებელი წნეხებით და სხვ.

საწარმოებში ინერგება შრომის მოწინავე ხერხები, რომლებიც შესწავლილი და განზოგადებულია ინჟინერთ. კოვალიოვის მეთოდით. ამის მეოხებით შრომის ნაყოფიერები სტამბა „კრასნი პროლეტარში“ ცალკეულ ოპერაციებზე გადიდდა 5-დან 30 პროცენტამდე, პირველ სანიმუშო სტამბაში — 10-20 პროცენტით.

ახლა წარმოებს მუშაობა ნაკადური ხაზების სრულყოფისათვის, ფერადი ბეჭდვის ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებისათვის. (საკდესი).

ნაყოფიერი მუშაობის შედეგი

თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკის კოლექტივმა წელს მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება. თუ ფაბრიკა გასულ წელს ყოველდღიურად უშვებდა 10 მილიონ 800 ათას ცალ პაპიროსს, ახლა იმავე მოწყობილობით ყოველდღე უშვებს 12 მილიონ ცალს.

სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე ფაბრიკაში შემოიღეს სტახანოვური განრიგი, სადაც იწერება: მუშის დღიური გეგმა, მის მიერ ნაკისრი ვალდებულება, ნედლეულის რაოდენობა, დავალების ფაქტიური შესრულება და ნედლეულის ფაქტიური ხარჯი. სამუშაო დღის ბოლოს ყველა მუშამ იცის თავისი შრომის შედეგი.

ამ ღონისძიების განხორციელებამ ფაბრიკის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა ყოველდღიურად იცოდეს, რომელმა მუშამ როგორ იმუშავა, იმავე დღეს გაიგოს ვინ ვერ შეასრულა დავალება და მაშინვე გაუწიოს მას საქმიანი დახმარება გეგმის შესრულებაში.

ფაბრიკის კოლექტივი წლის დასაწყისიდანვე მტკიცედ ახორციელებს მომჭირნეობის რეჟიმს. ინვარსა და თებერვალში ნედლეულის, მასალებისა და ელექტროენერგიის ყაირათიანად ხარჯვის შედეგად წარმოებამ 862 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო.

ფაბრიკის კოლექტივმა მარტის მეორე ნახევარში ფართოდ გააჩაღა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება და თვის 25 დღის დავალება გადაჭარბებით შეასრულა, დაზოგა 2.900 კილოგრამი თამბაქო და ათასობით კვადრატული მეტრი საჰილზე ქაღალდი.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მ. ჯუღაშვილის, ე. ბაიდაურის, ე. სახარაძის, ტ. გრიგორიანის, მ. პირივერდოვის ბრიგადები, რომლებიც სისტემატურად უშვებენ პირველი ხარისხის პროდუქციას და ნედლეულის დიდ ეკონომიას იწევიან. ამ ბრიგადებს მინიჭებული აქვთ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის სახელწოდება.



მოსკოვის მილის ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. გეგმის გადამეტებით დამზადებულია რამდენიმე ათასი მეტრი მილი. წელს პროდუქციის გამოშვება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27 პროცენტით გადიდდა. უკანასკნელ ხანს ათვისებულია ასზე მეტი სხვადასხვა ზომის მილთა სერიული წარმოება. სურათზე: მილის საამქროში. წინა პლანზე ოპერატორი ა. ე. დონსკიხი მილების ელექტროშედუღების აგრეგატის სამართავ პულტთან.

ფოტო ვ. კოშევოისა და მ. მინეევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა გამოცემა რუმინეთში

ბუქარესტი, 23 მარტი. (საკდესი). რუმინეთის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა დიდი ტირაჟებით უშვებს ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებს.

1944 წლიდან 1953 წლამდე გამოიცა ი. ბ. სტალინის 124 სახელწოდების წიგნი და ბროშურა 7.414.361 ცალი საერთო ტირაჟით, აქედან 743 ათასი ცალი — ეროვნულ უმცირესობათა ენებზე. ი. ბ. სტალინის თხზულებათა 13 ტომი გამოვიდა 1.300 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

შარშან გამოიცა ი. ბ. სტალინის შრომები „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ (ტირაჟი — 174 ათასი ცალი), „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ (275 ათასი ცალი) და ამსანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიული სიტყვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე (574 ათასი ცალი).

სადღეისო თემაზე

კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადა

ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად კვლავ რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის შემდგომი გადიდება და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა.

საკოლმეურნეო წყობილების შემოქმედი ამხანაგი ი. ბ. სტალინი, კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაციის საკითხებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილებაში „კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების მორიგ ღონისძიებათა შესახებ“ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა უნდა გახდეს ბრიგადა კოლმეურნეთა მუდმივი შემადგენლობით და რომ ბრიგადირთა შერჩევა, მათი შემადგენლობის დენადობის აღმოფხვრა და ბრიგადირებისათვის მათი სამეურნეო და პოლიტიკური კვალიფიკაციის ამაღლებაში ნამდვილი დახმარება პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. კოლმეურნეობის ბრიგადირის როლი და უფლებამოვალეობა ზუსტად არის განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებაში — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ უმაღლეს კანონში.

საკოლმეურნეო ცხოვრების გამოცდილებამ ცხადყო, რომ კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის ძირითადი და მთავარი ფორმაა მუდმივი საწარმოო ბრიგადა. მუდმივი საწარმოო ბრიგადების შექმნამ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში.

საწარმოო ბრიგადა, თუ იგი სწორად არის მოწყობილი, შესაძლებლობას იძლევა უფრო სრულად, უფრო ნაყოფიერად და ეფექტიანად გამოვიყენოთ კოლმეურნეობებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ინდუსტრიული ტექნიკა და არტელის საწარმოო საშუალებანი.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მრავალი მოწინავე ბრიგადა და ბრიგადირია, რომლებიც უხვი მოსავლისათვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. მრავალ ბრიგადირს მინიჭებული აქვს საპატიო წოდება — სოციალისტური შრომის გმირობა და დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო ორგანო არასაკმაო ყურადღებას აქცევდა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხს, ადგილი ჰქონდა საწარმოო ბრიგადის შეუფასებლობას. ამის გამო ცალკეულ კოლმეურნეობებში საწარმოო ბრიგადებს მუდმივი შემადგენლობა არა ჰყავდათ, ბრიგადებს მიმაგრებული არ ჰქონდათ წარმოების საშუალებანი, ასეთი მდგომარეობა იწვევს გაუპიროვნებას, რის გამო იკარგება ბევრი სამუშაო დრო; ეს ამცირებს კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერებას და იწვევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაგვიანებით შესრულებას. სტალინირის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წელს ერთი ბრიგადიდან მეორეში გადავიდა შრომისუნარიან კოლმეურნეთა 20,5 პროცენტი. ამასთან ბრიგადირთა თითქმის ნახევარი სამუშაოდან გაათავისუფლეს ან მოხსნეს. კაჯრეთის რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობაში ბრიგადა, როგორც მუდმივი საწარმოო ერთეული, არ არსებობდა. საწარმოო ბრიგადებში კოლმეურნეთა დიდი ცვალებადობა იყო.

საწარმოო ბრიგადების გაუპიროვნების, მათი შემადგენლობის დენადობის ფაქტები ახლაც გვხვდება. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან ყოველდღიურად იზრუნონ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადაჭრით უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება კოლმეურნეობებისადმი შრომის ორგანიზაციის უკეთ დაყენების საქმეში, ხელი შეუწყოს საწარმოო ბრიგადების განმტკიცებას, მათი როლის კიდევ უფრო ამაღლებას და საგაზაფხულო თესვის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებას.

თბილისს ჩამოვიდა ივ ფარეი

28 მარტს თბილისს ჩამოვიდა გამოჩენილი ფრანგი საზოგადო მოღვაწე — მშვიდობისათვის თვალსაჩინო მებრძოლი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი ივ ფარეი მეუღლითურთ.

აეროდრომზე ივ ფარეს შეხვდნენ საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, ა. ბალანჩივაძე, ს. შანშიაშვილი, შ. ამირანაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე, ვ. გულისაშვილი, ნ. ვაჩნაძე, ა. თოიძე, დ. წეროძე, თ. თეთრაძე, თ. ციციშვილი.

საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის სახელით ივ ფარეს გულთბილად მიესალმა პოეტი, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. ლეონიძე. საპასუხო სიტყვაში ივ ფარემ მადლობა გადაიხადა მეგობრული, გულითადი შეხვედრისათვის, გამოთქვა დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოში, რომელიც ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სამშობლოა.

ივ ფარეი საქართველოში რამდენიმე დღეს დარჩება. იგი გაეცნობა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებს. (საკდესი).

ადამიანები და მათი საქმეები

ხარატი ი. ხაბეიშვილი

ცხოვრების სახელოვანი გზა განვლო წარჩინებულმა ხარატმა ილია ხაბეიშვილმა. იგი ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, როცა სამტრედიის საორთქლმავლო დეპოში ხარატის შეგირდად მიიღეს. ბეჯითმა სწავლამ და მუყაითმა შრომამ, მიზნის სიცხადემ მას გაუადვილეს სახარატო დაზგის ათვისება. იგი მალე დაწინაურდა და დეპოს ხელმძღვანელთა ყურადღება მიიპყრო. გადიოდა დრო. ილია ხაბეიშვილი თანდათან აუმჯობესებდა მუშაობას, უფრო სრულყოფილად ეუფლებოდა დაზგას.

თავდადებული შრომით განსაკუთრებით გაითქვა მან სახელი სამამულო ომის მრისხანე წლებში. არც შემდგომ წლებში შეუნელებია მას მუშაობის ტემპი. მეხუთე სტალინური ხუთწლედის განვლილ პერიოდში ხაბეიშვილმა უკვე დიდი გადაჭარბებით შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმა და ამჟამად 1958 წლის გეგმის ანგარიშში მუშაობს.

საქმის ცოდნით, მაღალი ოსტატობით, დეტალების დამუშავებაში იშვიათი დახელოვნებით გამოირჩევა იგი სხვა ხარატებისაგან. მთავარია ის, რომ ხაბეიშვილი ზედმიწევნით იცნობს ორთქლმავალს, იცის მისი აღნაგობის ტექნიკური თავისებურება.

ილია ხაბეიშვილი თვალყურს ადევნებს ყოველივე ახალს, რაც მის პროფესიასთან არის დაკავშირებული. იგი გულმოდგინედ სწავლობს სხვა მოწინავე ხარატების გამოცდილებას. ის ერთ-ერთი პირველი ხარატია სამტრედიაში, რომელმაც ჩქაროსნულად იწყო მუშაობა, პირველმა გამოიყენა კერამიკული საჭრისი.

ილია ხაბეიშვილი მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორიც არის. მისი წინადადებით სამტრედიის საორთქლმავლო დეპოში განახორციელეს ორთქლმავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალის, ეგრეთწოდებული საორთქლე ხრახნსაცობის ბუდის გაჩარხვის გაუმჯობესებული მეთოდი. ჩვეულებრივად ამ დეტალის გასაჩარხავად ხრახნსაცობს პლანშაიბზე ამაგრებდნენ, მაგრამ დეტალის რთული კონფიგურაციის გამო მის დამაგრებას დიდი შრომა და დრო სჭირდებოდა. ხაბეიშვილმა თვითონ დაამზადა სპეციალური პლანშაიბი ხრახნსაცობისათვის და მისი გამოყენებით დეტალის დასამზადებლად საჭირო დრო დიდად შეამოკლა.

ამასთან ხრახნსაცობის ბუდის გაჩარხვის დრო მან ნორმასთან შედარებით 40 წუთით შეამცირა. მრავალი სხვა გონებამახვილური, ადვილად გამოსაყენებელი სამარჯვი გააკეთა ხაბეიშვილმა მუშაობის გასაადვილებლად, შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად. ასეთ სამარჯვებს ახლა მასობრივად იყენებენ მთელ რიგ საწარმოებში.

ი. ხაბეიშვილის სახელი, როგორც წარჩინებული ხარატისა, ფართოდ არის ცნობილი ამიერკავკასიის რკინიგზაზე. მას მინიჭებული აქვს „საპატიო ხარატის“ წოდება. მან მრავალი კვალიფიციური ოსტატი აღუზარდა სამშობლოს. სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს გამოჩენილი სტახანოველი ხარატები — ვ. გეგელია, ა. ესენჯია, დ. მიქაძე და სხვები მისი ყოფილი მოწაფეები არიან. თვითეული მათგანი ყოველდღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ანაღდებს.

ახლის დაუდეგარი მაძიებელი, ნოვატორი, მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატია ილია ხაბეიშვილი — გამოჩენილი სამტრედიელი ხარატი.

ვ. კოპალეიშვილი.

ახალი საამქროს მშენებლობა

ზესტაფონი, („კომუნისტის“ კორ.). საქართველოს შამპანკომბინატის ზესტაფონის ღვინის ქარხანათა სამმართველო ზესტაფონის ღვინის ქარხანასთან აშენებს სუფრის ღვინოების ახალ ჩამომსხმელ საამქროს, რომელიც მთლიანად მექანიზებულ იქნება და ყოველწლიურად გამოუშვებს 200.000 დეკალიტრ ღვინოს.

სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები

გურჯაანელ მევენახეთა სიტყვა და საქმე

გურჯაანელმა კოლმეურნეებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მევენახეობის საკითხებზე შემდგარი თათბირის შედეგებიდან სათანადო დასკვნა გააკეთეს. მათ იკისრეს წელს თვითეული ჰექტარი ვენახის ფართობზე მიიღონ 65 ცენტნერი ყურძენი. ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში ქუთაისის ოლქის ზესტაფონის რაიონის მევენახეები გამოიწვიეს.

კოლმეურნეობებს 2.016 ჰექტარი ვენახი აქვთ. აქედან მარტო შარშან 216 ჰექტარი გააშენეს. წელს კიდევ სამას ჰექტარს გააშენებენ. ვენახები კარგად არის დამუშავებული სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვ. ოსოშვილი ხელმძღვანელობს. 133 ჰექტარი ვენახის რიგთა შორის მოხვნა და ვაზის ძირების გამოთხრა წელს ორჯერ მოაწყეს. ბრიგადების უმრავლესობამ მესამედ ხვნა დაიწყო. ამ საქმეში მევენახეებს ეხმარებიან ველისციხის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორები. ტრაქტორისტმა რაჟდენ ღვინიაშვილმა 100 ჰექტარი ვენახი მოხნა.

ჩუმლაყის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს ორი წლის მანძილზე მთლიანად მოსპონ მეჩხერიანობა. ამ მიზნით წელს გადაწყდნვითა და გამორგვით 27.000 ძირი ვაზი შემატეს ვენახებს, გეგმა კი შვიდი ათასს ითვალისწინებდა. შესავსები ადგილების ასლოს შარშან მოსავლიანი და ძლიერი ვაზები შეარჩიეს. არხები, რომელშიც მთლიანად ვაზი ან რქა გადაწიდნეს, ფხვიერი და გაპატიებული მიწით ამოავსეს. გადაწიდნულ რქებზე 2-3 კვირტი დატოვეს.

ჩუმლაყელ მევენახეთა შორის ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლები აქვს გრიგოლ კუტიბაშვილს. ის ვაზს საუკეთესოდ უვლის. შარშან მისმა ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 67 ცენტნერი ყურძენი მოიწია; წელს 100 ცენტნერის მიღებას ვარაუდობს. ბრიგადამ საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეასრულა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა თამარ მაისურაძემ, რომელიც რგოლს ხელმძღვანელობს, თვითეული ჰექტარი ვენახიდან 120 ცენტნერი ყურძნის მიღება იკისრა. რგოლის წევრები ი. ორთოიძე და ი. მირველაშვილი ბეჯითად მუშაობენ.

საუკეთესოდ არის დამუშავებული აგრეთვე ილია ვარამაშვილის ბრიგადის ვენახები. ვენახის გარშემო წინათ უამრავი ბარდები იყო. ვარამაშვილის ბრიგადამ ისინი მთლიანად ამოძირკა და კულტურული მცენარეები დარგო.

— წელს თვითეულ ვაზზე, — აცხადებს ვარამაშვილი, — სულ მცირე 5 კილოგრამ ყურძენს მივიღებთ. ბევრია ისეთი ვაზი, რომელზეც ათ კილოგრამ ყურძენს მოვკრეფთ, თვითეულ ჰექტარ ვენახზე ვვარაუდობთ 150-200 ცენტნერი ყურძნის მიღებას.

კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. ჩახვაშვილი) წელს სამუშაოებს სწრაფად და მაღალხარისხოვნად ასრულებენ. კოლმეურნეობის 116 ჰექტარი ვენახი სანიმუშოდ არის დამუშავებული.

სამაგალითოდ მუშაობს აგრეთვე გიორგი ტატელოშვილის ბრიგადა. წელს ვაზი რიგთა შორის ორჯერ მოხნეს, ახლა მესამედ ხნავენ. ვენახებში შეიტანეს მინერალური სასუქები. ახლა ორგანული სასუქები შეაქვთ.

კარდანახელები დღითიდღე აძლიერებენ მუშაობას. მოხუცი კოლმეურნეები ლ. შაკიაშვილი, გ. მღვდლიაშვილი, ნ. დარაშვილი წინათ ნაკლებად მონაწილეობდნენ შრომაში. ახლა ისინი ახალგაზრდულად შრომობენ. თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატი ვარა თანდაშვილი მევენახეებს თავდადებული შრომის საკუთარი მაგალითით აღაფრთოვანებს. ეკატერინე ტაბახმელაშვილი და მარიამ შაკიაშვილი მამაკაცებს ეჯიბრებიან მუშაობაში.

ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ჩიგილაშვილი) შარშან ჰექტარზე საშუალოდ 28 ცენტნერი ყურძენი მიიღო. გეგმა კი 55 ცენტნერს ითვალისწინებდა. ველისციხელებმა გადაწყვიტეს საუკეთესო მუშაობით გამოასწორონ ეს ჩამორჩენა. მათ იკისრეს წელს ჰექტარზე საშუალოდ 120 ცენტნერი ყურძენი მიიღონ. 155 ჰექტარი ვენახის თვითეულ ვაზს მზრუნველი ხელი ატყვია. შემოდგომაზე პირველი ხვნა ჩაატარეს, ზამთარში მეორედ გადახნეს, ახლა კი მესამე ხვნას ამთავრებენ. გადაწიდნვითა და გამორგვით ვენახებს 55.000 ძირი ვაზი შემატეს. ვაზი წესიერად გასხლეს, თვითეულ ძირს ინდივიდუალურად მიუდგნენ. კარგად განვითარებულ ვაზზე 20-30 კვირტი დატოვეს, სუსტად განვითარებულზე — 15. ვაზის უმრავლესობას ორმხრივი ქართული ფორმა მისცეს. ყველაზე უკეთესად არის დამუშავებული სოციალისტური შრომის გმირის მიხეილ მექვეკრიშვილის ბრიგადის ვენახები.

კოლმეურნეობის გამგეობამ 4 ხაბავშვო ბაგა და ბაღი მოაწყო, რამაც შეაძლებელი გახადა ქალთა შრომის ფართოდ გამოყენება. ჩვილ ბავშვთა დედები ახლა ხალისით უვლიან ჯეჯილებს, ვენახებს, ბაღებს.

წინათ სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ვენახები ქვა-ღორღით იყო სავსე. ეს ხელს უშლიდა დამუშავებას, ამცირებდა მოსავლიანობას. წელს კოლმეურნეებმა ენერგიულად მოკიდეს ხელი ვენახის დამუშავებას, გაწმინდეს იგი ქვებისაგან. ამჟამად კოლმეურნეები ემზადებიან ვაზის წამლობისათვის. შაბიამანი და გოგირდი საკმარისი რაოდენობით მოიმარაგეს. კირი თვითონვე დაწვეს. წარმოებს შესასხურებელი და შესაფრქვევი აპარატების შეკეთება.

რაიონში ჩქარი ტემპით წარმოებს ვაზის მყნობა. გეგმით გათვალისწინებული 3.493.600 ცალიდან უკვე დამყნილია ორი მილიონი. ვაზისუბნის კოლმეურნეობაში მყნობაზე 120 კოლმეურნე მუშაობს. ამ სამუშაოს აგროტექნიკოსი ს. ტატელოშვილი ხელმძღვანელობს. ჩუმლაყის კოლმეურნეობის წევრები გ. ბერულაშვილი და ა. მირველაშვილი დღეში 2.000 ცალ მაღალხარისხოვან ნამყენს აკეთებენ, გეგმა კი 800 ცალს ითვალისწინებს.

კოლმეურნეობათა მუშაობაში ნაკლიც არის. გეგმით ვენახებში 20.000 ტონაზე მეტი ორგანული სასუქი უნდა შეიზიდოს. მაგრამ ეს სამუშაო ჭიანურდება. სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ვენახებში ნაკელი უმნიშვნელო რაოდენობით შეიტანა, გეგმა კი 1.300 ტონას ითვალისწინებს. ამ საქმეში ჩამორჩნენ ბაკურციხისა და შაშიანის კოლმეურნეობები.

სოფელ შრომის კოლმეურნეობას შაბიამნის სასხურებლად ასი აპარატი სჭირდება, ფაქტიურად კი 30 ცალზე მეტი არა აქვს. ასეთივე მდგომარეობაა ველისციხის, ვაზისუბნის, კარდანახის და სხვა კოლმეურნეობებში.

გურჯაანის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა განამტკიცონ პირველი წარმატებანი მევენახეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში, მოწინავე კოლმეურნეობების, საწარმოო ბრიგადების გამოცდილება ყველას კუთვნილებად გახადონ, სწრაფად გამოასწორონ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ მევენახეთა მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულება.

ს. ძოწილაძე.

ციტრუსოვანთა პლანტაციების გაფართოება

საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ ციტრუსოვანთა საგაზაფხულო რგვას. დარგულია მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის პირველი რამდენიმე ათასი ნერგი.

გაზაფხულზე ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების გაშენებას უსწრებდა ნიადაგის მომზადების სამუშაოები მთელი ზამთრის მანძილზე. ათასობით კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობების მუშა და მტს-ის მექანიზატორი ასათვისებელ მიწებს წმენდდა ბუჩქნარისა და ხეებისაგან, აკეთებდა მთების კალთებზე ტერასებს, გაპყავდა დრენაჟის ქსელი, თხრიდა ორმოებს. წლევანდელი რგვისათვის სახელმწიფო და საკოლმეურნეო სანერგეებში გამოყვანილია ციტრუსოვანთა 7 მილიონზე მეტი სტანდარტული ნერგი.

ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი დიდ ფართობებზე შენდება შავი ზღვის სანაპიროზე და ქუთაისის ოლქის მთელ რიგ რაიონებში. ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გაშენდება 167 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაცია, მახარაძის რაიონის ბერიას სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში — ას-ასზე მეტი ჰექტარი. ასეთ ათასობით ახალი ციტრუსოვანთა ნარგავი შეემატება ლანჩხუთის, ზუგდიდის, გულრიფშის, ცხაკაიას და სხვა რაიონების ციტრუსოვანთა პლანტაციებს. სულ მიმდინარე წელს გაშენდება 6 ათასი ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაცია.

ამავე დროს მეციტრუსეები განაგრძობენ ნიადაგის მომზადებას და მილიონობით ნერგი გამოყავთ პლანტაციების შემდგომი გაშენებისათვის. (საქდესი).

თეატრი

ორი სპექტაკლი ბიბლიოთეკიდან

ლ. ბ. ბერიას სახელობის ფოთის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითს კოლექტივს ყოველგვარი პირობები აქვს წარმატებითი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

თეატრმა (მთავარი რეჟისორი ა. გამსახურდია, დირექტორი გ. ნავროზაშვილი) ეს პირობები მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს თავის მომავალ მუშაობაში.

თეატრის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი ახალი სპექტაკლის მიხედვით შეიძლება დავწმუნდეთ ძირითადი შემოქმედებითი ძალების სიმწიფეში. ეს სპექტაკლი არის „ამქვეყნიური სამოთხე“ (პიესის ავტორია ბულგარელი მწერალი, დიმიტროვის სახელობის პრემიის ლაურეატი ორლინ ვასილევი). აღნიშნული პიესის დადგმა საქართველოში პირველად ფოთის თეატრმა განახორციელა (დადგმა კ. მჭედლიძისა, მხატვარი ვ. გოძიაშვილი, კომპოზიტორი გ. აინბინდერი).

ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში სოფიელი კომუნისტები არქიტექტორ სავა ველიჩკოვის მეთაურობით შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან მტრის წინააღმდეგ. ერთ-ერთ კომუნისტს — ბოიკოს გასცემს მეფის არმიის თაღარიგის ოფიცრის შვილი ბორისი, რომელიც ფაშისტებთან მსახურობს და მათსავით ძარცვასა და ყაჩაღობას ეწევა. მაგრამ იგი სამართლიანი საქმისათვის მებრძოლთა ტყვეობით ეცემა. მისი მშობლებისათვის, რომლებიც ჩაკეტილი არიან საკუთარ სახლში ან, როგორც ისინი ეძახიან, „ამქვეყნიურ სამოთხეში“, ამით ბოლო ეღება საქაო სამოთხეს, ისინი ნებით თუ უნებლიეთ აკეთებენ დასკვნას, რომ მათი ნეგატიური პოზიცია დამღუპველი აღმოჩნდა.

პიესა აგებულია მძაფრ რეალისტურ კონფლიქტზე, მისი გმირები მოვლენების ღრმა შეგრძნობით ცოცხლობენ.

კომუნისტი არქიტექტორის ველიჩკოვის დამაჯერებელ სახეს ქმნის მსახიობი გ. ებრალიძე. ველიჩკოვი მხნე, უშრეტი ძალების მქონე ახალგაზრდა, რომელსაც მთელი არსებით სძაგს დამონებულები და, მიუხედავად ძალების აშკარა უთანაბრობისა, ერთი წუთითაც არა დრკება. მსახიობს როლი ფსიქოლოგიურად სწორად აქვს გააზრებული, რითაც სახის რელიეფურობას აღწევს.

ყოფილი მასწავლებლის შვილი ბოიკო სამედიცინო ინსტიტუტიდან გარიცხეს იმის გამო, რომ არალეგალურ კომუნისტურ წრეებში მუშაობდა. იგი მუხანათის მსხვერპლი გახდა თავისი ძალების გაფურჩქნის პერიოდში, მაგრამ ხალხისათვის მაინც საკმაოდ იბრძოლა. მსახიობი რ. ბარამიძე მხატვრულად დამაჯერებელ სახეს ქმნის, მაგრამ ზოგჯერ მისი გადაჭარბებული ფესტიკულაცია ანელებს საერთო შთაბეჭდილებას.

სადა, გულწრფელი თამაშით მაყურებლის მოწონებას იმსახურებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. მაკაროშვილი. მისი სლავკა — [illegible] — [illegible] ... [illegible] — [illegible] ... [illegible] — [illegible] ...

წერილები რედაქციას

კორესპონდენტის მდევნელი უნდა დაისაჯოს

გაზეთ „სტალინური ლოკომოტივის“ 1951 წლის 5 აპრილის ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციაში სათაურით „ბინა შესაკეთებელია“ ნათქვამი იყო: „ხრესილის სადგურის საექიმო პუნქტი ცუდ შენობაშია მოთავსებული. ამავე დროს სადგურის უფროსმა ი. კუტალაძემ სადგურის შენობის შეკეთებისას გადარჩენილი მასალით თავისი საცხოვრებელი ბინა შეაკეთა, ხოლო საექიმო პუნქტის ოთახი შეუკეთებლად დატოვა...“

ამ სტრიქონების ავტორია რკინიგზის ხრესილის (ტყიბულის რაიონი) სადგურის ელექტროქვესადგურის თანამშრომელი, პარტიის წევრი ლ. კუტალაძე.

ი. კუტალაძე სამართლიანმა კრიტიკამ გაანაწყენა, მან კორესპონდენტი პირწავარდნილ ინტრიგანად და მჯდაბნელად მონათლა, თანაც დაემუქრა: „ჩემი(?) სადგურის შესახებ კიდევ რაიმე თუ დაგიწერია, გიჩვენებ, როგორ უნდა წერაო“...

კორესპონდენტი ლ. კუტალაძე როდი შეუშინდა მუქარას. მან კვლავ დაბეჭდა ხუთადასხვა გაზეთში მამხილებელი წერილები იმ უმსგავსოებათა შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა სადგურის სავაჭრო ქსელში, მგზავრთა კულტურული მომსახურებისა და სადგურის კეთილმოწყობის საქმეში.

სადგურის უფროსმა ი. კუტალაძემ არ მიიღო გაზეთის არც ერთი შენიშვნა, ხოლო რედაქციებს აცნობა, რომ შემდეგში ადგილი არ დაეთმოთ ლ. კუტალაძის „მოუორილი“ კორესპონდენციებისათვის. გათაბეზდებული სადგურის უფროსი ამითაც არ დაკმაყოფილდა და გაალერა კორესპონდენტის დევნა და შევიწროება.

ი. კუტალაძეს სასტიკი იერიში მიუქონდა იმ კორესპონდენტების წინააღმდეგაც, რომლებიც სადგურის ნაკლოვანებებს შესახებ ადგილობრივ კედლის გაზეთ „რკინიგზელის ხმაში“ წერდნენ. მაგალითად, მან იერიში მიიტანა პარტიის წევრ, ექიმის თანაშემწე ქ. ვარდოსანიძეზე, რომელმაც აქნილა ი. კუტალაძის არასწორი მოქმედების ფაქტები.

კორესპონდენტების დევნა შეუმჩნეველი არ დარჩა პარტიულ ორგანიზაციას. პარტიულმა ორგანიზაციამ იგი მსჯელობის საგნად გახადა. ი. კუტალაძეს კორესპონდენტების ლანძღვისა და დევნისათვის პარტიულ სასჯელი დაედო. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. რაც დრო გადიოდა, სადგურის უფროსი მით უფრო შურით ივსებოდა კორესპონდენტის მიმართ, მით უფრო აქტიურ ზომებს იღებდა მის თავიდან მოსაშორებლად. ი. კუტალაძემ რამდენჯერმე შეთხზა ცილისმწამებლური განცხადებები ლ. კუტალაძის მიმართ და ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოებში დაგზავნა.

ერთ-ერთ წერილში ი. კუტალაძე წერს, რომ თითქოს ლ. კუტალაძემ ჩაიდინა კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელი, ბავშვი მღვდელს მოანათვლინა. ამ საკითხზე პარტიის ტყიბულის რაიკომმა სპეციალურად გამოჰყო კომისია, მაგრამ ცნობა არ დადასტურდა.

კორესპონდენტის ლ. კუტალაძის დევნა და უსამართლო შეგიწროება ისევ გრძელდება. საჭიროა პარტიის ტყიბულის რაიკომმა ამ საკითხზე თავისი სიტყვა თქვას.

ვ. ცირეკიძე.

კოლმეურნეები კლუბის აღდგენას მოითხოვენ

ნაჩხერის რაიონში არის საკმაოდ მოზრდილი სოფელი ჭორვილა. აქ აქვთ სასოფლო ბიბლიოთეკა. ჰქონდათ კლუბიც, რომელიც 300-მდე კაცს იტევდა. სასოფლო კლუბში ხშირად იმართებოდა წარმოდგენები, კონცერტები, ლექციათ-საუბრები, უჩვენებდნენ კინოსურათებს.

მაგრამ 1952 წლის ბოლოს კოლმეურნეობის ფერმის გამგეს უ. ხვედელიძეს ახირებული აზრი მოუვიდა. გადაწყვეტა პირუტყვის ფერმა თავისი სახლის ახლოს გადმოეტანა. საამისოდ მან კლუბის შენობა შეარჩია. ამ უცნაური გადაწყვეტილების განხორციელებაში უ. ხვედელიძეს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პარტიაურის მდივანმა შ. გელახიანმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ივანაშვილმა.

თქმა და შესრულება ერთი იყო. ამჟამად შენობის პირველ სართულზე, სადაც კლუბი იყო, საქონლის თავლაა, ხოლო მეორეზე — სასოფლო ბიბლიოთეკა.

ამრიგად, ჭორვილელი კოლმეურნეები მოკლებული არიან შესაძლებლობას კულტურულად გაატარონ დრო სასოფლო კლუბში. ამის გამო ისინი სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამენ და მოითხოვენ კლუბის დაუყოვნებლივ აღდგენას.

ჯ. აბრამიძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„სრული წესრიგისათვის კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობაში“. ამ სათაურით „კომუნისტის“ 13 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო კავშირგაბმულობის თბილისის ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებანი.

როგორც თბილისის ფოსტამტის უფროსი ამბობს, გაბიტაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული წერილი განხილულ იქნა თბილისის ფოსტამტის მუშამოსამსახურეთა საერთო კრებაზე. კავშირგაბმულობის მე-5 განყოფილების ფოსტალიონი ამბ. მამედოვი კლიენტებისათვის გაზეთების დაკლებისა და დროზე მიუტანლობისათვის მოხსნილია სამუშაოდან, ხოლო განყოფილების კონტროლიორს ამბ. ჩარიგოდეშვილს სუსტი კონტროლის გაწევისათვის გამოეცხადა საყვედური.

კლიენტებისადმი უხეშად მოპყრობისათვის კავშირგაბმულობის მე-3 საფოსტო განყოფილების გამგის მოადგილეს ამბ. კორნიევს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ასევე საყვედური გამოეცხადა ფოსტამტის დატარების განყოფილების ფოსტალიონს ამბ. ალიოხინას მოქ. კოჩაროვის მაგიერ შეკვეთილი წერილის მიღებაზე ხელის მოწერისათვის.

თბილისის ფოსტამტის დირექციამ მიიღო ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ამავე წერილში აღნიშნული იყო, რომ 13 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაჭრობის განყოფილებამ წერილი გადაუგზავნა ფოთის ქალაქის ვაჭრობის განყოფილებას. წერილი ნაცვლად ფოთისა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებამ მიიღო. კავშირგაბმულობის ქუთაისის ქალაქის კანტორის მუშაკებმა და კერძოდ ნისმა უფროსმა ამბ. შარაშენიძემ დანაშაულის გამოვლინებაც კი ვერ შეძლეს, რითაც ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავიანთი მუშაობის მოუწესრიგებლობა.

გავაუმჯობესოთ საპროექტო სამუშაოთა ხარისხი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებული დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ახალ ამოცანებს სახავენ ჩვენი ქვეყნის სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების წინაშე.

ეს დირექტივები კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ზრდასთან ერთად გულისხმობენ მშენებლობის დაჩქარებას, სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას და მათი ღირებულების შემცირებას.

საპროექტო დოკუმენტაციის დროული და ხარისხიანი შედგენა სწრაფი და მაღალხარისხოვანი მშენებლობის მთავარი პირობაა. სამწუხაროდ, ჩვენი საპროექტო ორგანიზაციების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ დგას დასახული ამოცანების სიმაღლეზე.

პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა უმეტეს შემთხვევაში გვიანდება, დოკუმენტაციის ხარისხი დაბალია, ხშირია გამოშვებული პროექტების გადასაკეთებლად დაბრუნების შემთხვევები.

„აჭარაპროექტმა“ 1952 წლის იანვარში გამოუშვა ხულის რაიონული სამრეწველო კომბინატის ხე-ტყის სახერხი ქარხნის პროექტი. ნედლეულის ბაზის შესწავლა კი პროექტის გამოშვების შემდეგ დაიწყო და წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. ეს პროექტი მხოლოდ 1953 წელს იქნა დამტკიცებული.

ამავე საპროექტო ორგანიზაციამ ნედლეულის ბაზის შეუსწავლელად დააპროექტა ოჩხამურის აგურ-კრამიტის ქარხანა. პროექტი 1951 წელს გამოვიდა, თიხის მარაგის და აგურ-კრამიტის წარმოებისათვის ვარგისიანობის გამოკვლევა კი ჯერაც არ დამთავრებულა.

„საქკომუნპროექტმა“ მოსახლეობის სულადობისა და საჭირო წყალის რაოდენობის დაუზუსტებლად დააპროექტა წყალსადენის ქსელი ზითელწყაროს რაიონში. პროექტში წყალის მიღების შესაძლებლობის საკითხიც არ არის დაზუსტებული.

საპროექტო სამუშაოთა ხარისხი დიდად არის დამოკიდებული შემკვეთი ორგანიზაციების მიერ დაპროექტებისათვის მიცემულ დავალებათა სწორად შედგენაზე. დავალების არაკონკრეტულობა, დაუზუსტებლობა, ხოლო ხშირად მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა იწვევს პროექტების გადაკეთებას, ზოგჯერ კი ნამუშევარს სრულიად გამოუსადეგარს ხდის. დაპროექტების დავალება ამომწურავი, გარკვეული და მოკლე უნდა იყოს. ზოგიერთი ჩვენი სამინისტროსა და უწყების მიერ შედგენილი დავალება კი ამ მოთხოვნას ვერ უპასუხებს.

დავალებები დგება სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების პერსპექტივულ გეგმასთან დაუკავშირებლად, წარმოების პროფილისა და მოცულობის, მისი აუცილებლობის დაუსაბუთებლად, ძირითადი საწყისი მონაცემების დაუზუსტებლად.

მშენებლობის გაიაფების საქმეში საპროექტო ორგანიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დანახარჯების შემცირებისათვის ზრუნვა ობიექტის დაპროექტებიდან უნდა იწყებოდეს.

დაპროექტების სტადიაში მშენებლობის ღირებულების შემცირება ორი ძირითადი გზით ხორციელდება: პროექტში წამოყენებულ პრობლემათა ეკონომიური გადაწყვეტით და სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის სქემაში მშენებლობის რაციონალური წარმოების, თანამედროვე მოწინავე მეთოდების გათვალისწინებით.

პროექტის ეკონომიურად გადაწყვეტისათვის მიღებულ ღონისძიებებში გამოხატულებას უნდა პოულობდეს სამრეწველო საწარმოთა ტერიტორიის მაქსიმალური შეკვეცა, რამდენიმე საწარმოო და დამხმარე საამქროს ერთ შენობაში გაერთიანება, საწარმოსათვის დასახულ სიმძლავრეთა შენარჩუნების პირობებში შენობა-ნაგებობათა მოცულობის შემცირება, ზედმეტი არქიტექტურული მოთხოვნილებებით გამოწვეული ხარჯების აღკვეთა, ეკონომიურ კონსტრუქციულ გადაწყვეტილებათა მიღება, ეფექტიან საშენ მასალათა გამოყენება და სხვ.

პროექტის ეკონომიურად გადაწყვეტისათვის ბრძოლა რესპუბლიკის ბევრ საპროექტო ორგანიზაციაში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ჯერ კიდევ მთლიანად აღმოუფხვრილი არ არის პროექტებში და ხარჯთაღრიცხვებში ზედმეტობის დაშვების შემთხვევები. სამრეწველო საწარმოების დაპროექტების დროს ვხვდებით საქარხნო ტერიტორიის და კომუნიკაციების გადიდებას, საამქროების გაბნეულობას, მოძველებული კონსტრუქციების გამოყენებას. ნაკლები ყურადღება ექცევა მშენებლობაში ლითონის, ცემენტის და ხე-ტყის ეკონომიის საკითხს.

კიდევ უფრო ცუდად არის დაყენებული სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის დაპროექტების საქმე. საპროექტო ორგანიზაციების დიდი ნაწილი სრულებით არ ადგენს მშენებლობის ორგანიზაციის სქემას, ხოლო თუ ადგენს, არასრულყოფილად, ზერელედ ამუშავებს მას. ასეთი ნაჩქარევად და სუსტად დამუშავებული სქემა არ იძლევა მშენებლობის რაციონალურად წარმოების გზებს, არ ასახავს შრომის თანამედროვე მოწინავე მეთოდებს და ამიტომ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას; იგი გადაქცეულია საპროექტო დოკუმენტაციის ფორმალურ დანართად, რომელიც სამშენებლო მოედანზე ვერავითარ პრაქტიკულ გამოყენებას ვერ პოულობს.

სამრეწველო დანიშნულების საწარმოთა დაპროექტების დროს ხშირად შეუწყნარებელ დაუდევრობასაც ვხვდებით.

ტრესტ „ქუთაისშმენის“ ხისდამშუშავებელი ქარხნის პროექტში ორთქლ-საქვაბე მეურნეობა „საქსახპროექტმა“ ქვანახშირზე დაგეგმა, მაშინ როცა საქვაბის უზრუნველყოფა საჭირო სათბობით შეიძლებოდა წარმოების მონარჩენი ხის ნაჭრებითა და ნახერხით, რომლის გადასაყრელად პროექტით სპეციალური ხარჯის გაწევა იყო გათვალისწინებული.

ამავე საპროექტო ორგანიზაციის მიერ დამუშავებული თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის რეკონსტრუქციის პროექტი არ ითვალისწინებდა არსებული რეზერვების გამოყენებას ფაბრიკის წარმადობის მაქსიმალურად გაზრდისათვის. პროექტი არ უზრუნველყოფდა საწარმოო ფართობიდან პროდუქციის მიღების თანამედროვე მაჩვენებლებს, არ ითვალისწინებდა მაღალი წარმადობის ტექნოლოგიურ ნორმებს და კომპლიანტის რაციონალიზატორების მიერ დანერგილ პროგრესულ მეთოდებს.

პროექტის გადაკეთებამ, აღნიშნულ ღონისძიებათა გათვალისწინების თვალსაზრისით, კომბინატის საკარაულო წარმადობა 50 პროცენტით გაზარდა.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ჩვენს დამპროექტებლებს ხშირად ავიწყდებათ, რომ სამრეწველო საწარმოთა დაპროექტების სტადიაში წყდება ამ საწარმოთა მომავალი პროდუქციის ხარისხისა და თვითღირებულების განმსაზღვრელი ძირითადი მოტივების ბედი; რომ ზოგჯერ ეს მოტივები საბოლოოდ განსაზღვრავს საწარმოს მომავალი მუშაობის ხარისხს.

პროექტის ავტორმა თუ საპროექტო მასალაზე მომუშავე სპეციალისტმა არ შეიძლება თუნდაც ერთი წუთით დაივიწყოს ეს პასუხისმგებლობა წარმოების წინაშე.

დაპროექტების ახალი ინსტრუქცია, რომელიც შესაძლებელს ხდის იმას, რომ სამშენებლო ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილის დაპროექტება ორ სტადიად ვაწარმოოთ, ამარტივებს საპროექტო წარმოების საქმეს, შესაძლებლობას აძლევს საპროექტო ორგანიზაციებს დროის ეკონომიის ხარჯზე გაუმჯობესონ დაპროექტების ხარისხი, ყურადღება გაამახვილონ პროგრესული ტექნოლოგიური ნორმების და წარმოების მოწინავე მეთოდების გამოყენებაზე.

სამწუხაროდ, ყველა საპროექტო ორგანიზაცია როდი იყენებს ამ შესაძლებლობას. დღემდე ჯერ კიდევ ვხვდებით დროის უმიზნო ხარჯვას მარტივი, დიდი ხნის წინათ ათვისებული ტექნოლოგიური პროცესების მქონე საწარმოთა სამ სტადიად დაპროექტებაზე. ნაკლები ყურადღება ექცევა ტიპიური და არსებული ეკონომიური პროექტების განმეორებით გამოყენებასაც.

მშენებლობის შეუფერებელი წარმოებისათვის აუცილებელია, რომ საპროექტო ორგანიზაციები თავიანთი მუშაობის გეგმას აფარდებდნენ მშენებლობის გეგმასთან. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების მიერ ერთმანეთთან შეთანხმებული სამუშაო გრაფიკის შედგენას. ასეთი გრაფიკი ზუსტად უნდა ასახავდეს არა მარტო საპროექტო დოკუმენტაციის ცალკეული სტადიების დამზადების ვადებს, არამედ სამუშაო ნახაზების კომპლექსურ გაცემასაც მშენებლობის წარმოების გეგმასთან შეფარდებულ ვადებში.

მომდინარე სამეურნეო წელი ახალი ამოცანების წინაშე აყენებს საპროექტო ორგანიზაციებს. ჩვენმა დამპროექტებლებმა უნდა უზრუნველყონ მუშაობის აყვანა ამ ახალი ამოცანების დონემდე. ამისათვის საჭიროა გადაჭრით და ძირფესვიანად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, ვიმუშაოთ ახლებურად, უნაკლოდ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა ვაშენებდეთ არა საერთოდ, არამედ ვაშენებდეთ იაფად, კარგად, ლამაზად, მკვიდრად, საუკუნოდ.

ვ. იაძაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პროექტების და ხარჯთაღრიცხვების განხილვის სექტორის უფროსი.

მტკიცედ დავიცვათ ქუჩაში მოძრაობის წესები

ქუჩაში მოძრაობის წესების მტკიცედ დაცვა უმნიშვნელოვანესი საქმეა. ამიტომ ყველა სახის ტრანსპორტის მძღოლისა და ფეხით მოსიარულეთა მოვალეობას წარმოადგენს ქუჩაში მოძრაობის წესების შესწავლასთან ერთად ამ წესების მტკიცედ შესრულება.

არსებული წესების თანახმად, ფეხით მოსიარულეებმა უნდა იარონ მხოლოდ ტროტუარის მარჯვენა მხარეს. ქუჩაზე გადასვლის დროს გადავიდნენ ზებრაზე, ან, ადგილზე, სადაც მოწყობილია სპეციალური მაჩვენებელი — „გადასასვლელი“, ამასთან გადავიდნენ პირდაპირ და არა მრუდედ (ირიბად) და მხოლოდ ამ შემთხვევაში, როდესაც დარწმუნდებიან გადასვლის სრულ უშიშროებაში; ქუჩაზე გადასვლისას უშიშროება რომ დავიცვათ, საჭიროა ჯერ გავიხედოთ მარცხნივ, ხოლო ქუჩის შუა ადგილზე მისვლისას — მარჯვნივ; განსაკუთრებული ყურადღება მიგიქცეთ ქუჩის ბაჯარიდნებზე გადასვლისას შუქნიშნის სიგნალებს, რომლის საშუალებითაც მოძრაობა წესრიგდება. ქუჩაზე უნდა გადავიდეთ მაშინ, როცა შუქნიშანი გვიჩვენებს მწვანე ფერს, ან თუ ამ სიგნალის შესაბამისად მოძრაობის მომწესრიგებელი მილიციელი მხარშექცევით დგას ქუჩის გზაჯვარედინთან მოახლოებული მოძრაი ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულისაკენ.

ფეხით მოსიარულეებს უნდა ახსოვდეთ: არ შეიძლება ქუჩაზე გადარბენა ახლო მომავალი ტრანსპორტის წინ, ქუჩის საგალ ნაწილზე, მოსახვევებში გაჩერება, ქუჩის საგალი ნაწილის გაყოლებით ქვაფენილზე სიარული, ტრამვაის, ტროლეიბუსის და ავტობუსის ცდის დროს მათ საგალ ნაწილზე დგომა, ქუჩაზე გადასვლა მაშინ, როცა შუქნიშანი წითელ ან ყვითელ ფერს იძლევა, მოძრაობის დროს ტრამვაის ვაგონის კიბის საფეხურებზე დგომა, შეხტომა, ჩამოხტომა.

ქუჩაში მოძრაობის წესები არ არის რთული, მხოლოდ საჭიროა მათი შესწავლა და დაცვა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ წესების დარღვევას, როგორც მძღოლთა, ისე ფეხით მოსიარულეთა მხრივ შეიძლება უბედური შემთხვევები მოყვეს.

სათანადო ორგანოები ყოველდღიურ, სისტემატურ მუშაობას ეწევიან ქუჩებში მოძრაობის მოწესრიგებისა და მოძრაობის წესების დაცვისათვის.

თბილისის საქალაქო მილიციის სამმართველოს ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელმა განყოფილებამ დედაქალაქის საშუალო სკოლებში ჩაატარა საინსტრუქტაჟო საუბრები ქუჩებში მოძრაობის წესების შესწავლისა და დაცვის საკითხებზე, სკოლებს დაურიგდათ სათანადო ლიტერატურა.

ბევრი საშუალო სკოლის მასწავლებლები მოძრაობის წესების შესწავლისა და დაცვის საკითხებზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მოსწავლეებთან. მაგრამ ყველგან ასე როდია. სკოლების დირექტორთა და მასწავლებელთა მოვალეობაა მთელი სერიოზულობით მოჰკიდონ ხელი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, მოძრაობის წესების შესწავლას ბავშვების მიერ სათანადო ყურადღება დაუთმონ.

მოძრაობას მომწესრიგებელი ორგანოების, ყოველი მოქალაქის, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ვალია თვალყური ადევნოს მოძრაობის წესების დაცვას. ერთეული როდია ისეთი შემთხვევა, როცა წესის დამრღვევს მოუწოდებენ წესიერებისაკენ, იგი კი, ნაცვლად იმისა, რომ მიიღოს შენიშვნა, პრეტენზიებს აცხადებს, თავხედობს.

მილიციის ორგანოები, განსაკუთრებით ქალაქის მილიციის განყოფილებანი, საქალაქო ტრანსპორტის მუშაკები ყოველთვის შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ. ეს უეჭველად სასურველ შედეგს მოგვცემს. ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვის საქმეში ენერგიული დახმარება უნდა გაგიწიონ დედაქალაქის კომკავშირულმა ორგანიზაციებმაც.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებით შეძლებთ მოძრაობის წესების ზუსტად დაცვას, დედაქალაქში სანიმუშო წესრიგის დამყარებას.

ა. გვენცაძე.

ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს მოძრაობის მომწესრიგებელი განყოფილების ინსპექტორი.

ვ. ვ. კუზნეცოვი პეკინს ჩავიდა

პეკინი, 27 მარტი. (საკდესი). სინხუას საგაზეთო ოუწყება, რომ გუშინ პეკინს ჩამოვიდა სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ვ. კუზნეცოვი.

აეროდრომზე ვ. ვ. კუზნეცოვს შეხვდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯან ხან-ფუ, სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე ძი იან-მინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, ქალაქის ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ვ. ვ. კუზნეცოვს შეხვდნენ აგრეთვე საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები და დიპლომატიური კორპუსის წევრები.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 26 მარტი. (საკდესი). გუშინ ეროვნულ კრებაში განიხილავდნენ „კუდერის მოხსენებას“ დეპუტატისათვის საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევისას დანაშაულის შედგენილობის განსაზღვრის შესახებ. ეს საკითხი წამოიჭრა იმასთან უშუალოდ დაკავშირებით, რომ მთავრობა მოითხოვს ჩამოერთვას საპარლამენტო ხელშეუხებლობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს, რომელთა სასამართლო დევნას უკვე დიდი ხანია ამზადებენ.

როგორც ცნობილია, „კუდერის მოხსენებას“ თავისი ისტორია აქვს. 1949 წელს მადაგასკარის დეპუტატებს ჩამოერთვათ საპარლამენტო ხელშეუხებლობა დანაშაულის შედგენილობის საფუძველზე, რომელიც არ ითვალისწინებდა უმაღლეს სასჯელს. მაგრამ შემდეგ სასამართლო ხელისუფლებამ შეცვალეს დანაშაულის შედგენილობა და სიკვდილი მიუსაჯეს მათ. ასეთი ფაქტების გამეორების თავიდან ასაცილებლად ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი, რომლითაც აკრძალულია დანაშაულის შედგენილობის შეცვლა მას შემდეგ, რაც დეპუტატს საპარლამენტო ხელშეუხებლობა ჩამოერთმევა. მაგრამ ეს კანონი პრეზიდენტმა არ დაამტკიცა, და იგი კვლავ შეტანილ იქნა ეროვნულ კრებაში განსახილველად მესამე წაკითხვით. მაშინ რადიკალ-სოციალისტ კუდერს დაევალა გაეკეთებინა მოხსენება ამ კანონის დასასაბუთებლად. მაგრამ დღემდე მოხსენება არ განუხილავთ.

იმის გამო, რომ 12 მარტს ეროვნული კრების საპარლამენტო ხელშეუხებლობის საკითხთა კომისიამ „კუდერის მოხსენების“ გარჩევამდე გადადო განხილვა მთავრობის მოთხოვნისა კომუნისტ დეპუტატების სასამართლო დევნის შესახებ, გუშინ ეროვნული კრება განიხილავდა ამ საკითხს. ამასთან იუსტიციის მინისტრმა მარტინო დეალამ მთავრობის სახელით მოითხოვა მისი სასწრაფოდ გადაწყვეტა.

დეპუტატებისათვის საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევისას დანაშაულის შედგენილობის ზუსტად განსაზღვრის პრინციპის დასაცავად გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი ანდრე პიერარი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კუდერის მოხსენების“ უარყოფას შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს. მან განაცხადა, რომ მთავრობა იმიტომ ებრძვის კანონს დანაშაულის შედგენილობის განსაზღვრის შესახებ, რომ საშუალება ჰქონდეს განაგრძოს რეკომის ფაშიზაცია. „ყველას, ვინც მთავრობის მეთაურობით გამოდის „კუდერის მოხსენების“ წინააღმდეგ, სურს, რომ ხელი გახსნილი ჰქონდეს ოპოზიციის ჩასახშობად“. პიერარმა აღნიშნა, რომ მთავრობის მოთხოვნას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებისათვის საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევის შესახებ კავშირი აქვს ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა განხორციელებასთან, როცა თვითეულ ხმას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნეს.

შემდეგ კომუნისტებმა მოითხოვეს აღდგენილ იქნას ტრიბუნიდან აშკარა ხმის მიცემის წინათ გაუქმებული პრინციპი. მაგრამ ეროვნული კრების რეაქციულმა უმრავლესობამ უარყო ეს მოთხოვნა, ამის შემდეგ კომუნისტმა დეპუტატმა ტურნენმ შეიტანა წინადადება გადაიდოს საპარლამენტო ხელშეუხებლობის საკითხის ყოველგვარი განხილვა მანამდე, სანამ პარლამენტი არ გამოთქვამს თავის აზრს ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა შესახებ. მთავრობის მომხრე უმრავლესობამ ეს წინადადებაც უარყო.

დეგოლელ დრონის წინადადებით 381 ხმით 226 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა კონტრპროექტი, რომელიც ფაქტიურად არაფერს არ ცვლის ახლანდელ მდგომარეობაში და მოასწავებს იმაზე უარის თქმას, რომ დეპუტატებისათვის საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევისას განსაზღვრულ იქნას დანაშაულის შედგენილობა.

უნგრეთის ნოტა იუგოსლავიისადმი

ბუდაპეშტი, 27 მარტი. (საკდესი). უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ იუგოსლავიის მისიას ბუდაპეშტში გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ნათქვამია:

1953 წლის 24 მარტს 20 საათსა და 45 წუთზე რედჩის რაიონში იუგოსლავიის სასაზღვრო ჯიხურიდან, რომელიც უშუალოდ საზღვართან მდებარეობს, უნგრეთის ტერიტორიაზე გამოუშვეს რაკეტი, რომელმაც ხანძარი გააჩინა. უნგრეთის სასაზღვრო ორგანოებმა დაიწყეს ცეცხლის ჩაქრობა, მაგრამ ამ დროს იუგოსლავიის მხრიდან სამჯერ ესროლეს უნგრეთის პატრულს. უნგრეთის პატრული იძულებული გახდა თავდასხმის მოსაგერიებლად დაეკავებინა საცეცხლე პოზიცია. იუგოსლავიის ექვსმა შეიარაღებულმა მესაზღვრემ გადმოლახა უნგრეთის ტერიტორია და პროვოკაციულად გამოიწვია 25 წუთის სროლა. სროლის დროს იუგოსლავიის მხრიდან შეტევაზე გადმოსულთ შეუერთდა საკმაოდ დიდი სამხედრო ერთეული.

იმავე დღეს 18 საათსა და 45 წუთზე მადარაშის რაიონში იუგოსლავიის მესაზღვრეებმა ორჯერ ესროლეს უნგრეთის ცხენოსან პატრულს, რის შედეგად დაიჭრა ერთი ცხენი.

ნოტაში აღნიშნულია, რომ სასაზღვრო პროვოკაციები, რომლებსაც უკვე დიდი ხანია სისტემატურად აწყობს იუგოსლავიის მხარე, ამ ბოლო დროს, მიუხედავად უნგრეთის მთავრობის გაფრთხილებისა, სულ უფრო ხშირად მეორდება.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი მთავრობის დავალებით მტკიცე პროტესტს აცხადებს იუგოსლავიის ხსენებული სასაზღვრო პროვოკაციების წინააღმდეგ, მოითხოვს, რათა იუგოსლავიის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ მიიღონ ღონისძიებანი ჩათი შეწყვეტისათვის და ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ აქედან გამომდინარე ყველა შედეგისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ იუგოსლავიის მთავრობას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 27 მარტი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ ღამის სხდომაზე კენჭი უყარეს ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის რეზოლუციის პროექტს სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ეერთებული შტატების ჩარევის საკითხზე.

სსრ კავშირის, პოლონეთის, უკრაინის სსრ, ჩეხოსლოვაკიისა და ბელორუსიის სსრ წარმომადგენლებმა ხმა მისცეს ჩეხოსლოვაკიის რეზოლუციის პროექტს. 41 ქვეყნის და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატებმა ხმა მისცეს ამ პროექტის წინააღმდეგ. 14 ქვეყნის წარმომადგენლებმა კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს (ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, ერაყი, ლიბანი, პაკისტანი, საუდის არაბეთი, სირია, იემენი, აფღანეთი, ბირმა, ეგვიპტე, არგენტინა და გვატემალა).

გამოვიდნენ რა კენჭისყრის მოტივების შესახებ, არაბეთისა და აზიის ქვეყნების, მათ შორის ირანისა და სირიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ თუმცა მათ თავი შეიკავეს ჩეხოსლოვაკიის რეზოლუციის პროექტისათვის კენჭისყრაში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი არ გმობენ ერთი ქვეყნის ჩარევას სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. არაბთა ქვეყნების და მათ შორის სირიისა და ერაყის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ უხეში ჩარევისა და ტერორისტული საქმიანობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სიონისტური მოძრაობა ისრაელის ხელისუფალთა მეთაურობით. სირიის დელეგატმა ამასთანავე აღნიშნა, რომ სიონისტები ტერორს უწყობენ და მოკლეს ათასობით მშვიდობიანი არაბი მოქალაქე და ასობით ორსული არაბი ქალი.

გვატემალის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გვატემალის მთავრობა გადაჭრით გმობს ერთი ქვეყნის ჩარევას სხვა ქვეყნების საქმეებში. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ერთი ამერიკელი დიპლომატი ბრეზენი მოუწოდებდა ჩარეულიყვნენ გვატემალის საშინაო საქმეებში.

ახალგაზრდობის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლა განუყოფელია მშვიდობისათვის ბრძოლისაგან

ახალგაზრდობის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

ვენა, 27 მარტი. (საკდესი). დღეს ახალგაზრდობის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონფერენციის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი.

კონფერენციაზე ძირითადი მოხსენებისა და თანამოხსენებათა გამო კამათში გამოვიდა სულ 118 კაცი.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად მიიწონეს ტექსტი საპროტესტო დეპეშისა ფრანკოს ხროვის მიერ 38 ახალგაზრდა ესპანელი პატრიოტის სასამართლო დევნის წინააღმდეგ. დეპეშაში სოლიდარობას უცხადებენ მსჯავრდადებულ ეს

«კომუნისტის» მიმომხილველის შენიშვნები

კაუდილიო კარიერას იკეთებს

მადრიდი... ქუჩებში ფრთხილი ნაბიჯით დადიან დაღვრემილი, გამხდარი და ჩამოძონძილი ადამიანები. მოსახვევებსა და შესასვლელებთან ჯაშუშები და სპეკულანტები ატუზულან. მძიმედ მოაბიჯებენ და თავზედურად ჩასცქერიან სახეში გამვლელებს ფრანკისტული პოლიციის პიკეტები. ისინი წყვილწყვილად დადიან, შავმუნდრიანნი, მხარზე გადაკიდებული ავტომატებით...

საეშვო ხალხით სავსე კაფეებში გრან-ვიაზე „ადგილგადანაცვლებული“ გესტაპოელები და ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მაიორები უდარდელად შეექცევიან მალაგას. კალე დე ალკალას გაყოლებით მიმქრიან კომფორტაბელური ლიმუზინები „პესეტის მილიონერებისა“, რომლებიც მდიდრდებიან იმით, რომ მილიონობით ესპანელს შიმშილით ხდება სული.

ასე გამოიყურება დღეს მადრიდი, ოდესღაც მხიარული, სიცოცხლით სავსე მადრიდი, ხოლო თვითკმაყოფილებით სავსე ქონდრის კაცი კაუდილიო თავმომწონედ აცხადებს: „ესპანეთში სოციალური მშვიდობა და წესრიგია დამყარებული“.

წავიდა ის დრო, როცა ტურისტებს ესპანეთში ტანწერწეტი ტორეადორების ოქრომკედით ნაქარგი ქურთუკები, ლევანტის ლიმონის პლანტაციები და კასტანეტების ტკრციალი იზიდავდა. როცა საბჭოთა ტანკები ოდერზე გადადიოდნენ, მადრიდის აეროდრომზე ზედიზედ ეშვებოდნენ იმ „ტურისტებით“ სავსე „იუნკერსები“, ნიურნბერგის საკნებს ესპანეთის კლიმატი რომ ამჯობინეს.

ამაზე ცოტა ხნით ადრე ფრანკო გაპკიოდა: „თუ ბერლინი განსაცდელში ჩავარდა, ესპანეთი მილიონ ჯარისკაცს გაგზავნის მის საშველადო!“

შემდეგ მან მადრიდის აკარაკებში მდუმარედ გაანაწილა ბერლინელი სტუმრები და მდუმარედ დაუწყო მათ ცქერა.

მადრიელი გაულაიტერი იცდიდა.

და აი, როცა ფრანკოს ერთი ბატონი — მუსოლინი ფეხებით ჩამოკიდეს მილანის მოედანზე, ხოლო მეორე — ჰიტლერი ბეტონის ბუნკერის ფსკერზე იქნა გასრესილი, ისე, რომ არც მოსწრებია დაპირებულ „მილიონ ჯარისკაცს“, გამოცდილმა პოლიციურმა ქოფაკმა სისხლით შესვრილი დრუნჩი მაშინვე ქარის მიმართულებით მიაბრუნა. ოკეანეს გაღმა მან ახალი ბატონები იგრძნო და ლაქუცით შეწკმუტუნა მათ. ბატონებმა უპასუხეს. ამით აღფრთოვანებულმა ფაშისტმა ჯამბაზმა დაუყოვნებლივ გამოთქვა მათთან ლაქიად დასადგომად მზადყოფნა. „მეტად სასურველია, — განუცხადა მათ ფრანკომ, — თუ ჩვენს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდება და მოვემზადებით მომავალში შეთანხმებული მოქმედებისათვის“.

მალე ლონდონიდან და ვაშინგტონიდან მადრიდისაკენ მრავალი „ტურისტი“ გაეშურა. უოლსტრიტის სხვადასხვა მისიის წევრები, ბანკირები, ყველა ჯურის მუნდირიანი თუ უმუნდირო საქმოსნები მოულოდნელად განიმსჭვალნენ ესპანეთის „ზღაპრული ბუნებისადმი“ ინტერესით. ამერიკის ბურჟუაზიულმა პრესამ, რომელმაც დაუფარავად დაიწყო წერა ესპანეთზე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გეგმებში შემავალ „დიდად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პლაცდარმზე“, აღრევე წამოაყრანტალა ამ სტუმრობის ჭეშმარიტი მიზანი. ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ წერდა: „ფრანკისტულ ესპანეთს უნდა განვიხილავდეთ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეს. სერიოზულად მიმდინარეობს იმ საკითხის შესწავლა, თუ რა ეღირება მისი საომარი მომზადება. ფრანკოს ღილარები სჭირდება... მასთან შეიძლება მორიგება“.

მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს მთავარსარდლობასა და ფრანკოს შორის საიდუმლო სამხედრო კავშირის დადების ამბავი.

ღერძი მადრიდი — ვაშინგტონი ამერიკის აგრესიული პოლიტიკის მოქმედი ფაქტორი გახდა.

ესპანეთი შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ბაზად გადაიქცა: აქ დამთავრდა 90 დიდი აეროდრომის მშენებლობა, რომლებიდანაც თვითეულზე თავისუფლად მოთავსდება ფრანკოს მთელი „სამხედრო-საჰაერო ფლოტი“.

პირსისხლიანი კაუდილიო კიდევ უფრო გათავხედდა ახალი ბატონის ფრთის ქვეშ. ცერებზე შემდგარი, გაბღენძული და მკერდგამობერილი, იგი წრიპინებს კომუნიზმის წინააღმდეგ „წმიდა ომის“ გაჩაღებაზე, ჰპირდება ამერიკელ ბატონებს „მილიონ ჯარისკაცს“ და გაცხოველებით ვაჭრობს თავის თანამემამულეთა სისხლით.

„ესპანეთი მოხარულია იქონიოს ახლო ურთიერთობა ერთადერთ მდიდარ და ძლიერ ქვეყანასთან — ამერიკასთან, — აცხადებს ფრანკო. — გარკვეული აზრით ჩვენ, ესპანელები, ამერიკელებად ვთვლით თავს“.

1942 წელს, როცა იგი ჰიმლერს იღებდა, „ფრანკოს ესპანელები“ „გერმანელებად“ თვლიდნენ თავს.

მაგრამ მადრიდელ მსახურს ეს უხერხულობაში როდი აგდებს. ფრანკოს თავისი „ბიზნესი“ აქვს. იგი ტყავიდან ძვრება, რათა როგორმე დააჯეროს ახალი ბატონები თავის ერთგულებაში, ელაქუცება მათ, გროშების ფასად ყიდის ესპანეთის მიწა-წყალს.

ა. კუსრაშვილი.

ალბანეთში განაჩენი გამოუტანეს საბერძნეთის ჯაშუშებს

ტირანა, 27 მარტი. (საკდესი). ერსეკში დამთავრდა იმ ჯაშუშთა ჯგუფის პროცესი, რომლებიც ალბანეთის ტერიტორიაზე მოქნედებდნენ საბერძნეთის დაზვერვის დავალებით.

როგორც ბრალდებულმა სელკო ასლანმ აჩვენა, დამნაშავეთა ამ ჯგუფს, გარდა ჯაშუშურ დავალებათა შესრულებისა, განზრახული ჰქონდა აგრეთვე მოებდინა დივერსიული აქტები, მოეკლა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები და სხვ. ბრალდებულებმა მათთვის წაყენებულ ბრალდებებში თავი დამნაშავედ ცნეს.

ალბანეთის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ორ ბრალდებულს — ბანდის მეთაურს აბდულ ზოტოს და მის უახლოეს ხელქვეითს ტახირ კალოს სიკვდილი მიუსაჯა. სხვა ბრალდებულთ მიესაჯათ პატიმრობა სხვადასხვა ვადით — 12-დან 25 წლამდე.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 27 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები სანიხობანის რაიონში თავდაცვით ბრძოლებს ეწევიან მოწინააღმდეგესთან.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის სამი თვითმფრინავი.

„შუმანის გეგმასთან“ იტალიის შეერთების დამღუპველი შედეგები

რომი, 27 მარტი. (საკდესი). ამ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში მეტალურგიული და მანქანათმშენებელი საწარმოების, მაღაროებისა და ქვანახშირის შახტების მშრომელები აქტიურ ბრძოლას ეწევიან „შუმანის გეგმასთან“ იტალიის შეერთების დამღუპველი ეკონომიკური შედეგების წინააღმდეგ. მეტალურგიული მრეწველობის საკითხებზე გამართულმა ეროვნულმა კონფერენციამ, რომელიც ამას წინათ პიომბინოში (ლიორნოს პროვინცია) გაიმართა, მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროპოდებული „ქვანახშირისა და ფოლადის ერთიანი ბაზარი“ მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფის იარაღია იტალიელი მონოპოლისტებისათვის. ეს „ბაზარი“, ნათქვამია რეზოლუციაში, არის აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესებისადმი იტალიის მეტალურგიული მრეწველობის დამორჩილების იარაღი. იტალიელი მონოპოლისტები, რომლებიც იძულებული არიან უცხოეთის უფრო ძლიერი მონოპოლისტური ჯგუფების ზეგავლენით შეისყიდონ ნედლეული უკიდურესად მაღალ ფასებში, თავის მხრივ საშუალებას პოულობენ გაადიდონ მოგება შინაური ფასების გადიდების, ექსპლოატაციის გაძლიერებისა და მუშათა მასობრივი დათხოვნის გზით.

უკვე გამოცხადებულია, რომ დათხოვნილია მეტალურგიული საწარმოების 7 ათასი მუშა. მაგრამ მთავრობასთან ახლო მდგომ წრეებში აღნიშნავენ, რომ „შუმანის გეგმის“ სრულ ძალაში შესვლა გამოიწვევს მეტალურგიული მრეწველობის 50 ათასამდე მშრომელის დათხოვნას.

იტალიის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის მშრომელთა ფედერაციის (შედის იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში) ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა მუშებს 19 აპრილს მოაწყონ „მეტალურგიული მრეწველობის დაცვისა და მეტალურგიული და მანქანათმშენებელი საწარმოების ნაციონალიზაციისათვის ბრძოლის დღე“.

იტალიის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები, რომლებიც მოწმობენ ბევრი მეტალურგიული და მანქანათმშენებელი საწარმოს შეკვეცას და მშრომელთა გადამწყვეტ ბრძოლას შრომის უფლების დაცვისათვის. მაგალითად, ნეაპოლში, „ნავალმეკანიკას“ გემთსაშენებში, სადაც 1948 წელს 7.112 მუშა მუშაობდა, ამჟამად მუშაობს 4.970 მუშა, რომელთაგან 1.470 კაცი მუშაობს მხოლოდ 24 საათს კვირაში და იღებს შესაბამისად შემცირებულ ხელფასს.

კანალიაში (სასარის პროვინცია) „ფეპიომინის“ მაღაროების მფლობელებმა 450 მუშიდან დათხოვეს 130 მუშა. ქალაქ პიომბინოს „ილვას“ მეტალურგიული საწარმოს დირექციამ, რომელმაც სულ ამ ახლო ხანში 500 მუშა დათხოვა, გამოაცხადა, რომ დათხოვნილია კიდევ 150 მუშა, მაგრამ დათხოვნილი მუშები ადმინისტრაციის განკარგულების მიუხედავად განაგრძობენ სამუშაოზე გამოსვლას.

ქალაქ ტერნში „ტერნის“ მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ საწარმოში 700 დათხოვნილი მუშა სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში განაგრძობს მუშაობას ქარხანაში, თუმცა ხელფასს არ იღებს. „ტერნის“ საწარმოს ყველა მუშა მხარს უჭერს დათხოვნილი ამხანაგების ბრძოლას. ქალაქის მოსახლეობა აწყობს სახსრების შეგროვებას დათხოვნილი მუშებისათვის დახმარების გასაწევად.

სესტრში (გენუის პროვინცია) „ბანიარა ფერიერიას“ და „ბანიარა ფერროვიარნოს“ მეტალურგიულ საწარმოთა 650 მუშას უკვე სამი თვის განმავლობაში უკავია თავიანთი საწარმოები და ხელს უშლის მათს დახურვას. ასევე მოიქცა 12 დღის წინათ ამავე ქალაქის მეტალურგიული საწარმოს „ლიგურეს“ 655 მუშა. ქალაქ სესტრის მეორე მეტალურგიული საწარმო — „სან ჯორჯიო“, სადაც 3.800 მუშა მუშაობს, ამჟამად თავისი საწარმოო სიმძლავრის 25 პროცენტით მოქმედებს.

ფლორენციის 13 ათასი მეტალურგი 26 მარტს გაფიცული იყო ორი საათის განმავლობაში, რათა მხარი დაეჭირათ მეტალურგიული საწარმო „პინიონეს“ მუშებისათვის, რომლებიც იბრძოლნენ დათხოვნის წინააღმდეგ.

ბევრ საწარმოში გაიმართა მშრომელთა მიტინგები და კრებები, რომლებზეც გადაწყვეტეს უფრო ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიონ მეწარმეებს, ფრომელთაც განზრახული აქვთ დახურონ საწარმოები და გააძლიერონ მშრომელთა ექსპლოატაცია.

ფრანგი ხალხის მძლავრი საპროტესტო მოძრაობა

პარიზი, 27 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ დღეს გამოაქვეყნა იმ საწარმოთა ვრცელი სია, რომელთა მუშებმა და მოსამსახურეებმა გუშინ შეწყვიტეს მუშაობა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მთავრობა დევნის საფრანგეთის დემოკრატიულ მოღვაწეებს. ბევრ საწარმოში გაფიცვებში მონაწილეობას იღებდა მშრომელთა 80-100 პროცენტი.

პარიზის უნივერსიტეტის 600-ზე მეტმა სტუდენტმა გამართა გუშინ სენ-მიშელის ბულვარზე დემონსტრაცია, რომელიც მიმდინარეობდა ლოზუნგებით „თავისუფლება ლე ლეასს და ანდრე სტილს!“, „ფაშიზმი ვერ გაიმარჯვებს!“. დემონსტრანტებს თავს დაესხა პოლიცია. დაპატიმრებულია რამდენიმე სტუდენტი.

დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნდა იმ რეზოლუციებისა და მიმართვების ტექსტები, რომლებიც მიიღეს სენის დეპარტამენტის სახალხო დაბნარების საზოგადოებამ, „ხალხის განთავისუფლებისათვის მოძრაობის“, „ახალგაზრდა რესპუბლიკის“ (ახალგაზრდობის მემარცხენე კათოლიკური ორგანიზაცია) ორგანიზაციებმა და სხვა პროგრესულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მტკიცედ იცავენ ლე ლეასს, ანდრე სტილსა და სხვა დაპატიმრებულ პატრიოტებს. რესპუბლიკის პრეზიდენტის, მინისტრთა საბჭოსა და პარიზის სამხედრო ტრიბუნალის სასამართლო გამომძიებელთა სახელზე მოდის მრავალი წერილი, დეპეშა და პეტიცია, რომლებშიც მოითხოვენ შეწყდეს პოლიციის რეპრესიები.

დემოკრატიული პრესის ფურცლებზე მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწეები, აგრეთვე რელიგიური მოღვაწეები მოითხოვენ რესპუბლიკურ თავისუფლებათა პატივისცემას და მშვიდობისათვის იმ მებრძოლთა განთავისუფლებას, რომლებიც დაპატიმრებული არიან.

„ლუმანიტე“ იუწყება, რომ გუშინ ალენ ლე ლეასმა და საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირის ხელმძღვანელებმა პარიზის საეპელაციო სასამართლოს საგამომძიებლო პალატაში კვლავ შეიტანეს განცხადება, რომლითაც მოითხოვენ დროებით განთავისუფლებას.

19 მარტს ბონის ბუნდესტაგმა მესამე წაკითხვით მიიღო ბონის სეპარატული სამხედრო ხელშეკრულება და ხელშეკრულება ევროპოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის შესახებ, რომელიც აკანონებს დასავლეთ გერმანიის არმიის აღორძინებას.

აღსანიშნავია, რომ ბონის ბუნდესტაგშიც კი სამხედრო ხელშეკრულებები მიღებულ იქნა მხოლოდ 61 — 62 ხმის უმრავლესობით. ამასთან მხედველობაში მისაღებია, რომ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის საკითხი განხილულ უნდა იქნას კიდევ ბუნდესრატში — დასავლეთ გერმანიის პარლამენტის მეორე პალატაში, აგრეთვე კონსტიტუციურ სასამართლოში, სადაც ადენაუერს კიდევ უფრო გაუჭირდება ამ ხელშეკრულებათა გაყვანა.

(გაზეთებიდან).

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

თბილისის პარკებში ეროვნული შეჯიბრებიდან

ჯერ კიდევ უბერავს ცივი ქარი, თბილისის გარშემო მთებზე თოვლი მოჩანს, მაგრამ გაზაფხული კარზეა მომდგარი. მალე მწვანედ შეიმოსება თბილისის ქუჩები. წელს თბილისის პარკები და ბაღები უფრო გალამაზებული და კეთილმოწყობილი გახდება. ყველგან მიმდინარეობს გაცხოველებული მზადება საგაზაფხულო სეზონისათვის, მშრომელთა კულტურული დასვენებისა და გართობის მოწყობისათვის.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი

თბილისის მშრომელთა საყვარელ, საუკეთესო დასასვენებელ ადგილად გადაიქცა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი მთაწმინდაზე.

ხარაჩოებშია ჩასმული პარკის მთავარი შენობა. სწარმოებს შენობის, აგრეთვე პარკის სხვა ნაგებობათა — საზაფხულო კინოთეატრის, ფიზკულტურული მოედნების, საატრაქციონო ნაგებობათა შეკეთება, პარკის ბილიკებისა და ხეივნების აგური ხრეშით მოკირწყვლა. მთავარი შენობიდან 600 მეტრის სიგრძეზე გაყვანილი იქნება ახალი ელექტროქსელი.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პარკის ტერიტორიის გამწვანების სამუშაოები. უკვე დარგო 4.000 ძირი ხუთწლიანი ელდარის ფიჭვი და 1.000 ძირი ტუია. ცენტრალური ხეივნის გასწვრივ დარგვება 100 ძირი ოცწლიანი კედარი. პარკის სათბურებში გამოყვანილია 130.000 ძირი ხალიჩოვანი ყვავილი, რომლებიც გადაირგვება გაზონებში.

წელს პარკის ტერიტორიაზე ეწყობა ფოტოპავილიონი, გაიზრდება ხილ-ბოსტნეულისა და გამაგრილებელი წყლების პავილიონების რიცხვი.

აქ კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად გამოყოფილია 1.490.000 მანეთი. სამუშაოთა დამთავრება გათვალისწინებულია 20 აპრილისათვის.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი

საზაფხულო სეზონისათვის გაცხოველებით ემზადება ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, რომელიც განსაკუთრებით უყვართ ბავშვებს, რადგან აქ მოწყობილია საბავშვო რკინიგზა.

პარკში დაიწყო შესასვლელის მთლიანი რეკონსტრუქცია, საზაფხულო კინოთეატრის, კარუსელის, სპორტული მოედნებისა და სხვ. შეკეთება. საზაფხულო ესტრადასა და საცეკვაო მოედანზე აგებენ ასფალტს. მთავრდება ყვავილების გაზონებისათვის თუჯის ღობურის შემოვლება. ნტკვრის სანაპიროზე მოეწყობა ახალი სასეირნო ხეივანი.

გამოყოფილია დარბაზი ქართველი მხატვრების სურათების გამოფენისათვის. წელს პარკს შეემატება 3.500 ძირი დეკორაციული მცენარე. პარკის კეთილმოსაწყობად გამოყოფილია 700.000 მანეთი.

ვაკის ახალი პარკი

დღითიდღე ლამაზდება ვაკის ახალი პარკი. მარტო შარშან აქ დაირგო 22 ათასი ხე და ბუჩქი — ფიჭვი, სოფორა, საპნის ხე, ქაღალდის ხე და სხვ. წელს პარკს შეემატება 8 ათასი ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე და ბუჩქი, მათ შორის თეთრი აკაცია, ალვის ხე, სხვადასხვა ხეხილი, ტუია და სხვ.

სურათზე: საგაზაფხულო სამუშაოები ვაკის ახალ პარკში.

ფოტო გ. კვირკველიასი.

შავი ზღვის სანაპიროს საფეხბურთო მოედნებზე

სუხუმი. საბჭოთა საქართველოს ბაღნარად ქცეულ ქალაქ სუხუმში, გაგრაში, სოჭში, ბათუმსა და შავი ზღვის სანაპიროს სხვა ლამაზ ადგილებში ყოველწლიურად იყრიან თავს ტყავის ბურთის ოსტატთა უძლიერესი კოლექტივები.

მალე დაიწყება უძლიერესთა ასპარეზობა. ჩვენი ქვეყნის მორიგი ჩემპიონატი ფეხბურთში. დიდი სასპორტო ბრძოლის დაწყების წინ გაშლილია ფართო მოსამზადებელი მუშაობა. მიმდინარეობს სისტემატური წვრთნა, გუნდები აკომპლექტებენ ძირითად და სათადარიგო შემადგენლობას, აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს.

25 მარტს ქ. ოჩამჩირეში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის სამხედრო ოლქის (მვო) და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდები. ანგარიშით 1 : 0 გაიმარჯვა მვო-ს გუნდმა.

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელთა კოლექტივს ჰყავს ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე. ძირითადი შემადგენლობიდან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ ა. ხურციძე (გუნდის კაპიტანი), ვ. მალიავკინი, მ. გამყრელიძე, პ. პონომარენკო, გ. ნორაკიძე, ვ. ჩაიჩუკი და ნ. სიხარულიძე.

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელები თბილისში დაბრუნდნენ.

ბაგრა. აქ დიდი ხანია ვარჯიშობს მოსკოვის „დინამო“ (უფროსი მწვრთნელი მ. სემიჩასტნი). ჩემპიონატისათვის მზადების დღეებში დედაქალაქის დინამოელებმა გამართეს რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა. მათ შეჯიბრება „შახტიორთან“ დაამთავრეს ფრედ 1 : 1, ხოლო ვილნიუსის „სპარტაკთან“ თამაში მოიგეს ანგარიშით 3:2.

25 მარტს ბაგრის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 4 : 3.

ლებელიძე. შავი ზღვის სანაპიროს ეს ლამაზი სოფელი თბილისის დინამოელთა საზვრთნელი და დასასვენებელი ადგილია.

ასეთი გაცხოველებული მზადება დინამოელებს დიდიხანია არ ჰქონიათ. იგრძნობა გუნდის უფროსის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ბ ბაიბაძის დაბრუნება კოლექტივში, პოლიტხელმძღვანელის ა. შავიშვილის ნაყოფიერი მუშაობა, მწვრთნელების მ. იაკუშინისა და მ. მიხავის თავდადებული შრომა.

ტბილისი. თბილისის დინამოელებმა ლესელიძეში მოაწყეს სამი შეხვედრა. „შახტიორთან“ შეჯიბრება დაამთავრეს ფრედ 0 : 0, ვილნიუსის „სპარტაკს“ მოუგეს 2:0. დიდ ინტერესს იწვევდა შეხვედრა ვვს-თან 26 მარტს. ეს საინტერესო ბრძოლა დამთავრდა თბილისის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1 : 0. მეორე ტაიმის 25-ე წუთზე ბურთი გაიტანა გუნდის კაპიტანმა ა. ღოღობერიძემ. დღეს დინამოელები თამაშობენ „ტორპედოს“ წინააღმდეგ და 31 მარტს თბილისში დაბრუნდებიან.

სოჭი. ქალაქის საფეხბურთო მოედნებზე თითქმის ყოველდღე ეწყობა ამხანაგური შეხვედრები. უკანასკნელ შეჯიბრებათა შედეგები ასეთია: „კრილია სოვეტოვ“ — „შახტიორი“ 0 : 2, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — 1 : 2, ვვს — „ტორპედო“ — 3 : 0, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (მინსკი) — 2:1, „კრილია სოვეტოვ“ — ვმს — 0:2.

ვ. გაბელია.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

29 მარტს	დღის 12 საათზე ი. მოროზოვი — ეძიმი აიბოლიტი საღამოს ჟ. ბიზე — კარმენი (ვ. ა. დავიდოვას მონაწილეობით).
31 მარტს	ჟ. ბიზე — კარმენი (ვ. ა. დავიდოვას მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ყოველდღე
პროგრამის მთლიანად გამოცვლა
მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ცირკის მსახიობის
კონსტანტინე ბერმანის
გასტროლები ახლად ჩამოსულ მსახიობთა მონაწილეობით.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

კვირას, 29 მარტს
დღის ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I—12 ს. II—3 ს.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში.
მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

დღეს თეატრებში

მარჯანიშვილის სახელობის — კოლმეურნის ქორწინება (დილა-საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — კეკვიძე (დილა-საღამოს); **სომხური დრამის** — ხანარი; **მუსიკალური კომედიის** — როზ-მარი (დილა-საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ალმასის საბადოები (აბონემენტი 21, 12 ს.), **მესამე კურსის სტუდენტი** (აბონემენტი 5, 7 ს.); **სანიტარული კულტურის** — ჩვენი ახალგაზრდობა (დილას), ვარდობის თვე (საღამოს).

საქართველოს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

1. ფიზიოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1.
2. მეანობა-გინეკოლოგიაში მეცნიერი თანამშრომელი, ექიმი — 1. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (ლენინის ქ. № 38) განცხადება, შემდეგი საბუთების დართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭების დიპლომის ასლი, სამეცნიერო შრომები და ორი ფოტოსურათი.

მეცნიერ თანამშრომელ — ექიმისათვის კი საჭიროა კლინიკური სტაჟი არანაკლებ ხუთი წლისა. სამეცნიერო ხარისხი სავალდებულო არ არის.

კონკურსის ვადა — ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67 სამდივნოსი — 3-06-88; ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84, ხალხთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კორესპონდენტთა ქსელის, ხალმეთა მმართველობის — 3-06-88 წერილების — 3-73-24 განცხადებების — 3-51-81; გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70

УЦ 00977 ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.